ხელშეკრულება სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10 05 03/10/033

01 მარტი 2011 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, გ. ლეონიძის ქ. №2 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – დავით ავალიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „რონინი სიტი", ს/კოდი 206280898, მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №48ბ. (შემდგომში – „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის – ეკატერინე მაზმიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი და ქ. თბილისის მერიის თანხმობა №08/18875-3 28.02.11) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: **ქ. თბილისში, წავკისის I შეს. №4-ში სავალი ნაწილის საყრდენი კედლის გამაგრების სამუშაოები.**

1.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს – **31963,01** (ოცდათერთმეტიათას ცხრაასსამოცდასამი ლარი 01 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2011 წლის 31 მარტი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, წავკისის I შეს. №4.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს იგი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის ან/და ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს".

5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2) და ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.3. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

6.4. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.5. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.6. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს" უფლება აქვს „მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს „შემსყიდველის" მიერ შეკვეთაში განსაზღვრულ ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 დღის ვადის გასვლის შემდეგ მისი დაუფინანსებლობის შემთხვევაში აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ის შესაძლო საჯარიმო სანქციები, რაც დაერიცხება მას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

8.2. „შესყიდველს" უფლება აქვს:

- ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული სამუშაოს საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით. ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევად ჩაითვლება 3.2 პუნქტის საფუძველზე გაცემულ დავალებაში მითითებული შესრულების ვადების გადაცილებაც. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის" მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება სატენდერო წინადადებაში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება 3.2 პუნქტის საფუძველზე გაცემულ დავალებაში მითითებული ობიექტებზე სამუშაოების შეუსრულებლობაც. აღნიშნულ შემთხვევებში, „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით;

9.4. თუ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, „მიმწოდებელი" ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 5.3. და 5.4 პუნქტებით გათვალისწინებული წესით. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, „მიმწოდებელს" ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს „მიმწოდებლის" დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით და „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გამგებლის მოადგილე – ბესარიონ ჯიმშელაძე, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი – ლევან სოხაძე, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტები – პავლე სამსონაშვილი და ვასილ ცანავა.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა ს/კოდი: 204521776
მის: გ. ლეონიძის ქ. №2, მე-3 სართ.
სს „ლიბერთი ბანკი“ ცენტრ. ფილიალი
ა/ა № GE95LB0125152101627000
ბანკის კოდი LBRTGE22

„მიმწოდებელი“

შპს „რონინი სიტი“, ს/კოდი 206280898,
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №48ბ.,
ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ც/ფ
ა/ა 192829800
ბ/კოდი BAGAGE22

დავით ავალიანი

ეკატერინე მაზმიშვილი

№10 05 03/10/033 ხელშეკრულების
დანართი

ქ. თბილისში, წავკისის I შეს. №4-ში სავალი ნაწილის საყრდენი კედლის გამაგრების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ.	რაოდ	მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		მთლიანი დირებულება (ლარი)
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	საერთო სამშენებლო სამუშაოები									
	დემონტირებული კედლის დატვირთვა სპეც ტექნიკით	კუბ.მ	20,00			8,00	160,00	20,00	400,00	560,00
	საძირკვლის ქვაბულისათვის კლდოვანი გრუნტის მოთხრა ბნევმოჩაქუნის გამოყენებით	კუბ.მ	8,00	0,00	0,00	20,00	160,00	15,00	120,00	280,00
	გრუნტის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელებზე	კუბ.მ	58,00	0,00	0,00	15,00	870,00		0,00	870,00
	გრუნტის და დაშლილი კედლის ნარჩენების გატანა	კუბ.მ	78,00					15,00	1170,00	1170,00
	არმატურის კარკასის მოწყობა	კგმ	75,00	0,00	0,00	7,00	525,00	0,00	0,00	525,00
	დროებითი ხარაზოს მოწყობა-დაშლა	კვმ	68,00	5,00	340,00	8,00	544,00	2,00	136,00	1020,00
	არმატურა d-14	ტ	1,82	1470,00	2668,05	0,00	0,00	30,00	54,45	2722,50
	პოლივინიპლასტის დ-100 მმ მილების დაჭრა ზომაზე და კარკასში დამაგრება	გრძ.მ	14,00	3,30	46,20	1,00	14,00	0,00	0,00	60,20
	გრუნტის დასაკავებლად ქარგილების მოწყობა ხის მასალისაგან	კვმ	64,00	20,00	1280,00	8,00	512,00	1,00	64,00	1856,00
	კედლის მოსაწყობად ხის ქარგილის მოწყობა	კვმ	75,00		0,00	9,00	675,00		0,00	675,00
	ხე მასალა	კუბ.მ	6,25	440,00	2750,00			10,00	62,50	2812,50
	რკინა ბეტონის კედლის მოწყობა. ბეტონი მ-250	კუბ.მ	18,75	120,00	2250,00	30,00	562,50	15,00	281,25	3093,75
	ბალასტის ჩაყრა რკ.ბეტონის კედლის უკან	კუბ.მ	65,00	14,00	910,00	12,00	780,00	10,00	650,00	2340,00
	პილასტრების მოსაწყობად არმირებული ბადის მოწყობა	კგმ	14,00		0,00	7,00	98,00		0,00	98,00
	არმატურა d-14	ტ	0,34	1470,00	498,04	0,00	0,00	20,00	6,78	504,81
	ყალიბის მოწყობა ხე მასალით (არსებულის გამოყენება)	კვ	14,00		0,00	9,00	126,00		0,00	126,00
	რკინა ბეტონის კედლის მოწყობა. ბეტონი B-20	კუბ.მ	4,20	120,00	504,00	30,00	126,00	15,00	63,00	693,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	კედელთან არსებული საპირფარეშო				0,00		0,00		0,00	0,00
	დაშლილი საპირფარეშოს კედლის და ჭერის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელზე და გატანა	კუბ.მ	2,70			15,00	40,50	15,00	40,50	81,00
	ახალი საპირფარეშოს მოწყობა აგურით	კვმ	18,00		0,00	8,00	144,00		0,00	144,00
	აგური	ც	954,00	0,35	333,90		0,00	0,10	95,40	429,30
	ქვიშა	კუბ.მ	0,41	35,00	14,49		0,00	10,00	4,14	18,63
	ცემენტი	ტ	0,10	190,00	19,67		0,00	10,00	1,04	20,70
	კანალიზაციის მილის შეცვლა	გრძ.მ	5,00	4,00	20,00	4,00	20,00			40,00
	წყლის მილის შეცვლა	გრძ.მ	12,00	1,20	14,40	4,00	48,00			62,40
	ახალი უნიტაზის (თურქული) მონტაჟი	ც	1,00	75,00	75,00	50,00	50,00			125,00
	საპირფარეშოს იატაკის მოჭიმვა ცემენტის ხსნარით	კვმ	5,00		0,00	5,00	25,00		0,00	25,00
	ქვიშა	კუბ.მ	0,35	35,00	12,25		0,00	10,00	3,50	15,75
	ცემენტი	ტ	0,10	190,00	18,62		0,00	10,00	0,98	19,60
	საპირფარეშოს ჭერის მოჭიმვა ცემენტის ხსნარით	კვმ	5,00		0,00	5,00	25,00		0,00	25,00
	ქვიშა ღორღი	კუბ.მ	0,40	28,00	11,20		0,00	10,00	4,00	15,20
	ცემენტი	ტ	0,11	190,00	21,28		0,00	10,00	1,12	22,40
	არმატურის ბადის მოქსოვა (არმატურა d-12)	ტ	0,04	1470,00	65,42	300,00	13,35	20,00	0,89	79,66
	კედლის ლესვა ქვიშაცემენტის ხსნარით	კვ	18,00			7,00	126,00			126,00
	ქვიშა	კუბ.მ	0,54	35,00	18,90		0,00	10,00	5,40	24,30
	ცემენტი	ტ	0,14	190,00	25,65		0,00	10,00	1,35	27,00
	ახალი ხის კარის დამზადება და მონტაჟი	კვ.მ	3,50	105,00	367,50	25,00	87,50	5,00	17,50	472,50
	საცხოვრებელი სახლის კედელი				0,00		0,00		0,00	0,00
	საცხოვრებელი სახლის დაშლილი კედლის დატვირთვა	კუბ.მ	3,00		0,00	10,00	30,00		0,00	30,00
	გრუნტის და დაშლილი კედლის ნარჩენების გატანა	კუბ.მ	3,00					15,00	45,00	45,00
	არმატურის კარკასის მოწყობა	კვმ	11,00	0,00	0,00	5,00	55,00	0,00	0,00	55,00
	არმატურა d-12	ტ	0,05	1470,00	79,15	0,00	0,00	20,00	1,08	80,23
	ქარგილების მოწყობა-მოხსნა ხის მასალისაგან (ასებულის გამოყენება)	კვმ	5,00		0,00	9,00	45,00	1,00	5,00	50,00
	რკინა ბეტონის კედლის მოწყობა. ბეტონი B-20	კუბ.მ	4,40	120,00	528,00	30,00	132,00	15,00	66,00	726,00
	კიბის აღდგენითი სამუშაოები				0,00		0,00		0,00	0,00
	ავარიული კიბის (ბეტონის მოზაიკური) დემონტაჟი	ც	13,00		0,00	7,00	91,00		0,00	91,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟი	კომპლ	1,00		0,00	25,00	25,00		0,00	25,00
	არსებული მასალით ლითონის კონსტრუქციის მოწყობა	კომპლ	1,00		0,00	40,00	40,00		0,00	40,00
	არსებული კიბის საფეხურებით კიბის მოწყობა	ც	13,00		0,00	15,00	195,00		0,00	195,00
	ლითონის მოაჯირი									0,00
	ლითონის მოაჯირის მოწყობა	გრძ.მ	14,00		0,00	8,00	112,00	0,00	0,00	112,00
	კვადრატული მილი 40X40 სისქით 2 მმ	გრძ.მ	4,20	5,50	23,10		0,00	0,00	0,00	23,10
	კვადრატული მილი 50X25 სისქით 2 მმ	გრძ.მ	14,00	5,60	78,40		0,00	0,00	0,00	78,40
	კვადრატული მილი 30X20 სისქით 2 მმ	გრძ.მ	14,00	3,20	44,80		0,00	0,00	0,00	44,80
	მოაჯირის შეღებვა (ორ ფენად)	კვ.მ	4,17		0,00	4,00	16,69			16,69
	ზეთოვანი საღებავი	კგ	1,67	5,00	8,34					8,34
	ჯამი	ლარი								**22800,76**
	ზედნადები ხარჯები 10%									2280,08
	ჯამი	ლარი								**25080,83**
	გეგმიური დაგროვება 8%									2006,47
	ჯამი	ლარი								**27087,30**
	დღგ 18%									4875,71
	სულ დ.ღ.გ.-ს ჩათვლით	ლარი								**31963,01**

„შემსყიდველი"

დავით ავალიანი

„მიმწოდებელი"

ეკატერინე მაზმიშვილი